საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საუკეთესო კვლევითი ნაშრომის გამოსავლენად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსის შინაარსობრივი და ტექნიკური პირობები

კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს მცირე ღია ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და რისკების ანალიზზე. ამ კონტექსტში, სასურველია საქართველოს ეკონომიკის მაგალითის განხილვა, შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებისა და შედარებითი ანალიზის გამოყენებით.

კვლევითი თემების საორიენტაციო ჩამონათვალი

ქვემოთ მოცემულია კონკურსის სამი ნომინაციის შესაბამისი კვლევითი თემების საორიენტაციო ჩამონათვალი. მოცემული თემატიკა არ არის ამომწურავი და არ ზღუდავს კონკურსანტებს, წარმოადგინონ სხვა საკვლევი თემები, რომლებიც შეესაბამება შესაბამის ნომინაციას.

მონეტარული პოლიტიკის გამოწვევები

1. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი მცირე ღია ეკონომიკებში: გამოწვევები და ეფექტიანობა;
2. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა მაღალი დოლარიზაციის პირობებში;
3. მონეტარული პოლიტიკა მიწოდების შოკების პირობებში: ინფლაციის თარგეთირების გამოწვევები;
4. ინფლაციური მოლოდინები და მონეტარული პოლიტიკის სანდოობა;
5. გაცვლითი კურსის არხის გავლენა მონეტარული პოლიტიკის გადაცემაზე: დინამიკა და სტრუქტურული ცვლილებები;
6. მონეტარული პოლიტიკა და ფინანსური სტაბილურობა: შესაძლო კომპრომისები და ურთიერთკავშირები;
7. გლობალური ფინანსური პირობების გავლენა ადგილობრივ მონეტარულ პოლიტიკაზე;
8. ციფრული ტრანსფორმაცია, ფინანსური ინოვაციები და მონეტარული პოლიტიკის მომავალი;
9. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა მაღალი გაურკვევლობისა და გეოპოლიტიკური რისკების პირობებში;
10. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთქმედება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

საბანკო სექტორის ტრანსფორმაცია

1. ბიზნესმოდელებისა და კონკურენციის ტრანსფორმაცია საბანკო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში;
2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საბანკო საქმიანობაში: შესაძლებლობები, რისკები და რეგულირების გამოწვევები;
3. ტექნოლოგიური ფინანსური კომპანიების გავლენა საბანკო კონკურენციასა და ფინანსურ შუამავლობაზე;
4. საბანკო სექტორის კონცენტრაცია, კონკურენცია და ეფექტიანობა;
5. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენა ბანკების ფინანსურ შედეგებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე;
6. კიბერუსაფრთხოება და ციფრული თაღლითობა: საბანკო რეგულირების ახალი გამოწვევები;
7. ღია ბანკინგის როლი კონკურენციისა და ფინანსური ჩართულობის გაძლიერებაში;
8. სტაბილკოინები და მათი პოტენციური გავლენა საბანკო შუამავლობაზე;
9. შინამეურნეობების და კორპორაციების დავალიანება და ფინანსური სტაბილურობა: მოწყვლადობის ანალიზი;
10. ტრანსსასაზღვრო საბანკო საქმიანობა და საგარეო ფინანსური შოკების გადაცემა.

კაპიტალის ბაზრის გაღრმავება

1. ინსტიტუციური ინვესტორების როლი კაპიტალის ადგილობრივი ბაზრის განვითარებაში;
2. კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი: შეზღუდვები და შესაძლებლობები;
3. დაგროვებითი საპენსიო ფონდების როლი ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში;
4. ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობა და მისი გავლენა ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდაზე;
5. მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ბაზრის განვითარება;
6. სეკიურიტიზაციის წინაპირობები, ბარიერები და შესაძლებლობები;
7. ობლიგაციების ბაზრის როლი მცირე და საშუალო საწარმოების (SME) დაფინანსებაში;
8. კაპიტალის ბაზრების ციფრული ტრანსფორმაცია: ფინანსური აქტივების ტოკენიზაცია და საინვესტიციო შესაძლებლობები;
9. უცხოური პორტფელური ინვესტიციები და ადგილობრივი ფინანსური ბაზრის განვითარება;
10. უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტები (REIT): შინამეურნეობების დანაზოგების მობილიზებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ინსტრუმენტი.

შინაარსობრივი მოთხოვნები

ნაშრომი უნდა ასახავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ საკვლევ პრობლემასა და კვლევის მიზანს; მოიცავდეს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს; ეფუძნებოდეს დასაბუთებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას და სანდო მონაცემებს; ასახავდეს ავტორის (ან ავტორების) დამოუკიდებელ მიგნებებსა და არგუმენტირებულ დასკვნებს; საჭიროების შემთხვევაში, მოიცავდეს პრაქტიკულ რეკომენდაციებს პოლიტიკის ან რეგულირების მიმართულებით.

ტექნიკური პირობები

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
ძირითადი ტექსტის მოცულობა უნდა შეადგენდეს 4 000–6000 სიტყვას (A4 ფორმატის ფურცელზე აკრეფილი ტექსტი, ცხრილების, დიაგრამებისა და სქემების ჩათვლით, ანოტაციისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის გარეშე).

- შრიფტი: Sylfaen (ქართული ტექსტისთვის) ან Times New Roman (ინგლისური ტექსტისთვის);
- შრიფტის ზომა: 11;
- სტრიქონებს შორის ინტერვალი: 1.5;
- გვერდის ველები: 2.5 სმ.

წყაროები უნდა მიეთითოს Harvard-ის ციტირების სტილის შესაბამისად.